31/12/2020

სერბეთის პატრიარქ ირინეოსის გარდაცვალებიდან მე-40 დღეს ღვთისმსახურება აღესრულა

Image not found or type unknown

2020 წლის 29 დეკემბერს ორმოცი დღე გავიდა უწმიდესი სრულიად სერბეთის პატრიარქის ირინეოსის გარდაცვალებიდან.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სერბეთის საკათედრო ტაძარში, პატრიარქ ირინეოსის სულის საოხად საღმრთო ლიტურგია აღავლინა სერბეთის საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, დაბრო-ბოსნიის მიტროპოლიტმა ქრიზოსტომოსმა, სერბეთის საპატრიარქოს მღვდელმთავრებთან ერთად.

წირვის შემდგომ ამავე ტაძარში დაკრძალული უწმიდესი პატრიარქის ირინეოსის საფლავთან აღავლინეს მისი სულის მოსახსენებელი პანაშვიდი. ღვთისმსახურებას დაესწრნენ სერბეთის პრეზიდენტი და მთავრობის წევრები.

— wenews.ge